ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5665504

ნომერი: AR1858238

თარიღი : 26.10.2021

გაცემის თარიღი : 02.11.2021

გაცნობის თარიღი : 09.11.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დიდი დიღმის დასახლება, III მიკრო/რაიონი, N 19 ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ასათიანი პ/ნ 01007013465
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 55 კორ. 1 ბ. 64

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2021 წლის 26 ოქტომბრის №AR1858238 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 26 ოქტომბერს №AR1858238 განცხადებით მომართა ირაკლი ასათიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 19

ოქტომბრის №4222877 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ოქტომბრის №4222877 ბრძანებით შეთანხმდა №01.10.08.005.130 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2018 წლის 07 ნოემბრის №4253062 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 7 ნოემბრიდან 2019 წლის 7 ივლისის ჩათვლით.
სამსახურის 2021 წლის 01 თებერვლის №5270332 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2018 წლის 19 ოქტომბრის №4222877 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა საერთო ფართობი: 5870.5 კვ.მ., ასევე, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატა კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 584.2 კვ.მ. და ავტოსადგომის ფართობი: 520.7 კვ.მ.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ოქტომბრის №4222877 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად 3601.1 კვ.მ-ის ნაცვლად 3598.7 კვ.მ-ის., კომერციულ ფართობად 321.5 კვ.მ-ის ნაცვლად 385.8 კვ.მ-ის., საზაფხულო ფართობად 843.0 კვ.მ-ის ნაცვლად 315.2 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 5870.5 კვ.მ-ის ნაცვლად 5404.6 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
განგიმარტავთ, რომ კიბის უჯრედისა და სადარბაზოს, ასევე, ავტოსადგომის ფართობები, სამსახურის 2021 წლის 01 თებერვლის №5270332 ბრძანებით უკვე დამატებულ იქნა სამსახურის 2018 წლის 19 ოქტომბრის №4222877 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში. ამასთან, დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საცხოვრებელ და კომერციულ ფართობებში შეყვანილია კოლონების და სავენტილაციო შახტების ფართობები.
განგიმარტავთ, რომ სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არ იანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავშირებელი შიდა კიბე და მისი ბაქანი).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად,
ვბრძანებ:
1.დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:
1.1. წარმოადგინოს სამსახურის 2018 წლის 19 ოქტომბრის №4222877 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე), რომლებზეც საცხოვრებელი და კომერციული ფართობები დატანილი იქნება სავენტილაციო შახტების და კოლონების ფართობების გამოკლებით.
1.2. დააზუსტოს მოთხოვნა საცხოვრებელ, კომერციულ და საერთო ფართობებთან დაკავშირებით.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2021 წლის 26 ოქტომბრის №AR1858238 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.